28 თებერვალი

წალენჯიხა
2023 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი N4

2023 წლის 28 თებერვალს ჩატარდა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რაისა ჩანგელია. ესწრებოდნენ კომისიის წევრები: რაისა ჩანგელია, მანანა ჭანია, ნანა ქობალია, გონერ კვარაცხელია.

დაწყების დრო: 10:00-სთ.
დასრულების დრო: 11:10-სთ

დღის წესრიგი:

1.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ წალენჯიხის „სათნოების სახლი"-ის მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

პროექტის წარმომდგენი: **გიორგი ჭანია,** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სათნოების სახლი"-ის დირექტორი.

მოისმინეს 1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ წალენჯიხის „სათნოების სახლი"-ის მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნულზე ისაუბრა ცენტრის დირექტორმა გიორგი ჭანიამ. მან აღნიშნა, რომ ა(ა)იპ ახორციელებს ქ.წალენჯიხასა და ქ. ჯვარში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებითი უზრუნველყოფის პროგრამას 224 ბენეფიციარზე. მათ ემსახურება 9 თანამშრომელი, 3 თანამშრომელი კი (დირექტორის ჩათვლით) ხელმძღვანელობას უწევს ცენტრის ადმინისტრირებას. ასევე დაემატა სოციალურად დაუცველთა პროგრამით დასაქმებული თანამშრომლები. (ანგარიში თან ერთვის).

კომისიის წევრებმა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ წალენჯიხის „სათნოების სახლი"-ის მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში დადებითად შეაფასეს და წარმატებები უსურვეს.

სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რაისა ჩანგელია